

„დაბადების“ რელიგიური მეტაფორა და საკრალური მითოსის ნიშნები
სუპერგმირების კულტურაში

ქეთევან კოპალიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფილოსოფია

ლუკა ნახუცრიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან კოპალიანი

20.06.2018

აბსტრაქტი

სუპერგმირების ვრცელი და მრავალფეროვანი სამყარო თანამედროვე პოპ-კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. სუპერგმირები ზებუნებრივი ძალებით დაჯილდოებული არსებები არიან, რომელთა საკრალური მისიაც ადამიანისა და მოწესრიგებული კოსმოსის სადარაჯოზე დგომაა. მილიონობით ადამიანი კინო-დარბაზებისა და კომიქსების გლამურული, ფერადი მაღაზიების მყუდრო სივრცეებში მოკალათებულა და სუპერგმირების, - თანამედროვე სამყაროს პოპ-ღმერთების, - თავადასავლებს დიდი ინტერესით ადევნებს თვალს. სუპერგმირების კულტურა, როგორც გლობალური მნიშვნელობის მქონე მოვლენა, განსაკუთრებულ დაკვირვებასა და ყურადღებას საჭიროებს. ის საოცარი მოწიწება და მიჯაჭვულობა, რასაც სუპერგმირული ნარატივის მოყვარული ადამიანი ავლენს სუპერგმირთა პანთეონის ამ თუ იმ წარმომადგენლის მიმართ, თითქმის რელიგიური, საკრალური მნიშვნელობისაა; კინო-დარბაზები და კომიქსების მაღაზიები კი ის საკრამენტალური დანიშნულების მქონე მოდერნული ტაძრებია, სადაც, რელიგიური ლიტურგიის მსგავსად, სუპერგმირების კულტურასთან ზიარებული „მორწმუნე“ საყვარელი დემიურგის, ღმერთის, ნახევრად-ღმერთისა და მეტაფიზიკური ძალებით დაჯილდოებული, „განღმრთობილი“ ადამიანის „დაბადების“, „ტრაგედიის“, „ბრძოლისა“ და „გადარჩენის“ მომსწრე ხდება. რელიგიური ტრადიციისა და მითის სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ნიშნების აღმოჩენა შესაძლებელია არა მხოლოდ სუპერგმირების კულტურის „გამოცხადებისა“ და ფართო სამომხმარებლო საზოგადოებისთვის მიწოდების, გარკვეული მნიშვნელობით - საკრალურ, ადგილებში, არამედ, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, უმუალოდ სუპერგმირულ ნარატივშიც.

„Marvel“-ის მულტი-ფუნქციური და მრავალმილიარდიანი კორპორაცია, როგორც სუპერგმირების ნარატივთა მწარმოებელი ერთ-ერთი უდიდესი „ქარხანა“, ყოველწლიურად, თითქოს წმინდა წერილის ახალ თავებს, უსაზღვრო რაოდენობით სუპერგმირულ ისტორიას „აფასოებს“ და გამოსცემს კომიქსებისა, თუ კინო-

ადაპტაციების სახით. მოცემული ნაშრომის მიზანია, „Marvel Comics“-ისა და „Marvel Cinematic Universe“-ის ისეთ გრანდიოზულ ფრენჩაიზებში, როგორცაა, „კაპიტანი ამერიკა“, „რკინის კაცი“, „თორი“, „დედპული“ და „შურისმამიებლები“, მოიკვლიოს რელიგიური ბუნების მქონე ნარატივისთვის დამახასიათებელი ნიშნები და განსაზღვროს ის, თუ რამდენად წარმოადგენს სუპერგმირების კულტურა თანამედროვეობის ფსევდო-რელიგიას და ჭყეტელა, ხატოვანი ფერებით შემკულ პოპ-მითოლოგიას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ფილოსოფიისა და მომიჯნავე დისციპლინების „თეორიულ ინსტრუმენტთა“ მთელი წყების გამოყენება გახდა საჭირო. იმისათვის, რომ დადასტურებულიყო რელიგიური მეტაფორისა და საკრალური მითოსის ნიშნების არსებობა პოპ-კულტურის ხსენებული მიმართულების სრულიად კონკრეტულ ნარატივებში, მნიშვნელოვანი გახლდათ, გაგვეგო ის, თუ რას გულისხმობს რელიგიური მეტაფორა და როგორია „საკრალური მითოსის“ ნიშნები, რისი გარკვევაც დევიდ ქროუნფილდის, სტანისლავ გროფის, მირჩა ელიადეს და სხვა მეცნიერთა აკადემიური შრომების მიმოხილვამ გახადა შესაძლებელი. სტანისლავ გროფის მიერ აღწერილი „დაბადების“ რელიგიური მეტაფორისა და მირჩა ელიადეს მიერ განსაზღვრული „მითის ასპექტების“ სუპერგმირულ მითოსზე „მორგების“ მცდელობისას ცხადი გახდა ისიც, რომ სუპერგმირების კულტურა, რელიგიური მეტაფორისა და მითის სტრუქტურის თავისებურ მოდიფიკაციას ახდენს. „მაგის“ ადგილს იკავებს ტექნოლოგია, მითოსის პროტაგონისტები კი არა „განკაცების“ მოსურნე ღმერთები, არამედ - „განღმერთების“ სურვილით აღტყინებული ადამიანები არიან.

ამგვარად, ნაშრომი მოგვცემს შესაძლებლობას იმისათვის, რომ დადგინდეს სუპერგმირების კულტურის „რელიგიურობისა და „საკრალურობის“ ხარისხი; აგრეთვე, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთება „თანამედროვე მითოსისთვის“ დამახასიათებელი სრულიად სპეციფიკური, უნიკალური ნიშნებიც. სუპერგმირების ნარატივთა „საკრალური“ და ორიგინალური მახასიათებლების ცოდნა კი, თავის მხრივ, დაგვეხმარება იმაში, რომ ახლებური პერსპექტივითა და განსხვავებული კუთხით დავინახოთ სუპერგმირების მყვირალა და ბუტაფორიული, თუმცა, მრავალფეროვანი და მშვენიერი სამყარო.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სუპერგმირები, პოპ-კულტურა, რელიგიური მეტაფორა, საკრალური, მითოსი, სამყარო, კოსმოსი, ღმერთები, ადამიანები, თანამედროვეობა, ზებუნებრივი, ნარატივი, ტექნოლოგია.

Abstract

Widespread and multi-colored world of superheroes is one of the most important parts of modern pop culture. Superheroes are supernatural creatures, whose sacred mission is to stand on the guard of humanity and time-ordered space. In cozy spaces of the glamorous, colorful movie halls and comic stores, Millions of people enjoy the spectacular adventures of superheroes, the creatures, who can be considered as POP - Gods of the modern world. Superhero culture, as a global phenomenon, requires special observation and attention. That special trembling and attachment, expressed towards different representatives of superhero pantheon by a fan of superhero narratives, is almost religious and sacred by its nature. Almost like a religious liturgy, Movie-halls and comic stores are modern-day temples, within which a “believer” who’s associated with superhero culture, becomes a witness of „birth”, “tragedy”, “struggle” and “survival” of beloved Gods, demigods and deified humans with metaphysical forces. The signs of religious tradition and myth structure can be discovered in not only, with some significance, - the sacred, - areas, where superhero culture is properly delivered to widely consumer society, but also, in superhero narratives.

Multi-functioning and filthy rich corporation of “Marvel”, one of the biggest factories of different superhero stories, produces numerous comic books and movie-adaptations every year. The purpose of this research is to explore signs of religious narrative in grandiose “Marvel Comics” and “Marvel Cinematic Universe” franchisees like: “Captain America”, “Iron Man”, “Thor”, “Deadpool” and “Avengers”, so it could finally be defined whether or not superhero

culture can be reviewed as pseudo-religion and animated, lively myth of modern era. In order to achieve this goal, the whole set of theoretical instruments of philosophy and other relative disciplines had been used. Scientific investigation of signs linked to religious metaphor and sacred myth requires some really clear understanding of “birth” metaphor and myth structure, which can be learnt by overviewing academic works of David Crownfield, Stanislav Groff and Mircea Eliade. While testing Groff’s and Eliade’s theoretical base for religious metaphor of “birth” and myth aspects on superhero stories, another truth has revealed itself: Superhero culture modifies the inner constitution of religious metaphor and myth structure in a very characteristic way. “Magic” is replaced with technology and in contrary to archaic myth, myth protagonists tend to transform from “human” to „divine”, not vice versa.

Thus, the research gives us opportunity to determine level of “religiousness” and “sacredness” in superhero culture. Also, the work has identified the most unique, specified signs of “modern myth”. Accurate knowledge of “sacred” and original features of superhero narratives helps us to perceive the noisy and decorative, nonetheless, varied and beautiful world of “Marvel”.

Key words: Superheroes, pop-culture, religious metaphor, sacred, myth, world, space, Gods, humans, modernity, supernatural, narrative, technology.

მადლობა

უდიდეს და გულწრფელ მადლობას ვუხდით ჩემი სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს, ლუკა ნახუცრიშვილს, შთაგონების მოცემისა და მოტივაციის გაძლიერებისთვის. მისი საგანი: „ხელოვნების რელიგია“. ესთეტიურისა და საკრალური ურთიერთმიმართების პრობლემა გერმანული ხელოვნების თეორიაში“, იყო ინსპირაციისა და შთაგონების წყარო იმისათვის, რომ დაწერილიყო „დაბადების“ რელიგიური მეტაფორა და საკრალური მითოსის ნიშნები სუპერგმირების კულტურაში“. მისი პროფესიონალიზმის, თანადგომისა და მონაწილეობის გარეშე, მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ვერ შესრულდებოდა. აგრეთვე, მადლობას ვუხდით „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს სწავლისა და თვითგანვითარებისათვის საუკეთესო პირობების შექმნისთვის.